№ 12

სამშაბათი, 19 იანვარი 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 12

სამშაბათი, 19 იანვარი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ნატალია პეტრეს ასული იუზბაშევისა, ივანე და ალექსანდრე პეტრეს ძენი იუზბაშევები,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი საყვარელის ასულისა, ხოლო მეორენი—ძვირფასის დისა

**ევგენია პეტრეს ასულის ჭრამისა,**

სთხოვენ მობრძანდნენ ხუთშაბათს, 21 იანვარს, დილის 10 საათზე, მიცვალებულის გვამის გასვენებაზედ დასასწრებლად სახლიდგან (კათოლიკეების ქუჩა) ღვთისმშობლის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში. პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ოთხშაბათს საღამოს 6 საათზედ. (2—6—1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 21 იანვარს,

ქართულის დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან, ქ-ნ ე. მესხის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება პირველად

I

**სალათას ძილი** ანუ ტრილბი

დრამა ოთხ მოქ. გადმოკ. კ. მესხის მიერ.

II

**არც აქეთ, არც იქით**

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე **ქნ. ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვარი** გამართავს ამ საზოგადოების სასარგებლოდ „ტფილისის კრუჟოკის“ სადგომში 24 ამა იანვარს

**საცეკვაო საღამოს.**

**დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.**

მსურველთ შეუძლიანთ ბილეთები შეიძინონ თავმჯდომარესთან ძველ ინსტიტუტის ქუჩაზედ, ტერ ასატუროვის სახლში, საზოგადოების მდივანთან ი. ბ. ხალათოვთან, ლაბორატორიის ქ. საკუთ. სახლი, ხოლო 24 იანვარს „კრუჟოკის“ შვეიცართან. ბილეთი ღირს 2 მანეთი და 10 კაპ. (3—5—1)

**ვკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

რაც შეიძლება ჩქარა ვასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.

**ალექსანდრე გრიგორის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567. (20—3—3).

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

თავ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე

**დიასამიძე**

მიიღებს მსურველთ ყოველ დღე დილის 8—10 საათამდე და საღამოს $4^1/_2$—$6^1/_2$-მდე.

მალაია სუდებნაია, 4, ინჟენერ გრინიოვის სახლი. (5—1)

ნოტარიუსის

**ლევან მღებროვის**

**კანტორა**

გაიხსნება ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში გურგენოვის სახლის ზემო სართულში, № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. (30—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ხაჯასარდიანი,** 11—12 საათ. სქესოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ბ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა გთიდ ინება და უბოძა მაღაციის იუნკრის წოდება ქუთაისის გუბერნიის სოხუმის საერობო დარაჯის ურიადნიკს ლოდარიას.

# ახალი ამბავი

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან ამ ახლო მომავალში კავკასიის მთავართ-მართებელი პეტერბურგში აპირებს წასვლას. გაზ. „ახ. მ.“-ს სიტყვით, მთავარ-მართებლის პეტერბურგში ყოფნის დროს გადისწყდება ზოგიერთი კავკასიისთვის საყურადღებო საგანი, როგორც, მაგალითად, ამიერ-კავკასიაში საერო დარაჯის გადაკეთების შესახებ და სხვ.

*** ქალაქის გამგეობის გუშინდელმა კრებამ განიხილა პასუხი გამგეობის წევრის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვის მოხსენებაზე.

ამ პასუხის წაკითხვის შემდეგ გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკიმ განაცხადა, 8 იანვარს ვსთქვი, რომ ქალაქის მოურავი მიშლის წყნარადა და დინჯად (და არა პირუთვნელად) ჩემის თანამდებობის ასრულებასაო. არა მგონია, რომ ეს სიტყვები „წყნარადა“ და „დინჯად“ საწყენი იყოს ქალაქის მოურავისათვის. გამგეობისავე კრებაზე 12 იანვარს განხილულ იქმნა მოხსენება ბ-ნის ევანგულოვისა ამავე საგნის შესახებ.

ქალაქის მოურავმა გ. გ. ევანგულოვმა სთქვა, რომ კომისია განიხილავს ყველა იმ საგნებს, რომლებიც ჩამოთვლილია თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მოხსენებაში. ამასთანავე ქალაქის მოურავმა განაცხადა, არაოდეს არ მითქვამს, რომ უფროსი ვარ გამგეობის წევრებისა და მხოლოდ დავასახელე ის კანონი, რომლის ძალითაც მე თავმჯდომარე ვარ ამ დაწესებულებისა და გარდა ამისა ეს სიტყვები ქალაქის გამგეობის წევრთა შესახებ არა ვსთქვი, არამედ იმ მოხელეთა შესახებ, რომლებიც ქირით არიან მიწვეულნი. დასასრულ ქალაქის მოურავმა სთქვა, ამ საქმესთან ერთად უნდა გაირჩეს ის უთანხმოებაც, რომელიც მოგვივიდა მე და თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს სავაჭრო პოლიციის საქმეთა შესახებ.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ყოველივე ეს საგნები გადასცეს განსახილველად ქალაქის გამგეობის წევრებს ე. ე. ხოსროევსა, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს და ქალაქის გამგეობის ახლად არჩეულს წევრს მ. ს. შესტაკოვს.

*** ბავშვების სამზრუნველო საზოგადოების კრება 20 თებერვალს არის დანიშნული ქალაქის საბჭოს დარბაზში.

*** 16 იანვარს ტფილისის ოლ-

## ფელეტონი

**ზეთის ხილის ჭალა**

(champ d'oliviers)

მოთხრობა გუი-დე-მოპასანისა.

პროვანსიის პატარა ნავთ-სადგურ გორანდუს აბატ ვილბუას ნავი საჩქაროდ უახლოვდებოდა. ნაპირზედ მდგომმა მეთევზეებმა დაინახეს თუ არა თევზაობიდგან დაბრუნებული აბატი, საჩქაროდ ჩავიდნენ ძირს, რომ ნავის ნაპირზედ გადმოტანა ეშველათ.

ნავში მარტო მოხუცი აბატი ვილბუა იყო და ისეთის სიმარდით უსვამდა ნიჩაბს, თითქოს ოცის წლის ახალგაზდააო. ანაფორა შემოკარწახებული და ხელებ დამკლავებული აბატი, განიერის შლიაპით თავზედ სამხრეთ-საფრანგეთის მღვდელს თვალწინ გიყენებდათ, რომელიც მოგზაურობისათვის უფრო იყო გაჩენილი, ვიდრე მღვდელ-მსახურებისათვის. დრო-გამოშვებით უკან იხედებოდა, თვალით ჰზომავდა,—სად უნდა მიეყენებინა ნავი, და თან ისეთის მოხდენით უსვამდა ნიჩაბს, თითქოს მეთევზეებს ეწონებაო.

ნავი სისწრაფით ეჯახა ნაპირს, შეერია ქვიშაში და გაჩერდა. მეთევზეები მიუახლოვდნენ აბატს და თავაზიანად მისცეს სალამი.

— ბნო აბატო, ხომ კარგად მოგხვდით თევზი?—ჰკითხა ერთმა პროვანსალურის კილოთი.

აბატმა ნიჩაბი ნავში ჩასდო, სახელები ჩამოიშალა, ანაფორა გაისწორა, სოფლის წყნარის მღვდლის სახე მიიღო და თამამად უპასუხა:

— კარგად მოხვდა, ძალიან კარგად!

ხუთ-ვე მეთევზე მიუახლოვდა ნავს და ცნობის-მოყვარეობით დაუწყეს სინჯვა თევზს.

— მე წამოგიღებთ სახლამდის ბ-ნო აბატო, უთხრა ერთმა მათგანმა.

— გმადლობთ, ძმობილო.

აბატი გამოემშვიდობა მეთევზეებს, ნავისათვის ზრუნვა იმათ მიანდო და თითონ ერთის მეთევზით სახლისაკენ გამოსწია.

აბატი ნელის ნაბიჯით მიდიოდა ზეთის ხილის ჭალის ბილიკზედ. ნიჩბის ხმარებით დაღალულს ჯერ კიდევ არ შეჰშრობოდა ოფლი, რის გამოც წამდაუწუმ შლიაპას იხდიდა და ნელს ნიავს უშვერდა შუბლს გასაგრილებლად. ჩასასვლელად მომზადებული მზე ზეთის ხეებში მკრთალად გამოსჭვრიტდა და აბატის ვეებერთელა შუბლს, რომელიც სამხედრო წოდების კაცს უფრო შეჰშვენოდა, ვიდრე მღვდელს, მკრთალ შუქს აფენდა. ჭალის მახლობლად დაქანებულს სერზედ პატარა სოფელი მოსჩანდა.

ივნისის წყნარი საღამო იყო. გზას მტვერი ასდიოდა და აბატს თეთრად ედებოდა ტანისამოსზედ. დინჯად მაყურებელი აბატის თვალი სოფელს არა ჰშორდებოდა, იმ სოფელს, რომელშიაც აგერ ოცი წელიწადია, რაც სცხოვრებს, რომელიც შეიყვარა და რომელსაც საუკუნო სამარე უნდა მიეცა მისთვის. სოფელი ეკკლესიით თავდებოდა, იმ ეკკლესიით, რომელსაც ორსავ მხრივ ძველი კოშკი ჰქონდა მოშენებული და დიდს ძველებურს სასახლეს უფრო წააგავდა, ვიდრე ეკლესიას.

აბატი მხიარული, მოხერხებული და ღონიერი კაცი იყო; ამასთან თოფის საუკეთესო მსროლელი, დაშნით მოთამაშე და ჩინებული მენავე, რისთვისაც მთელი მრევლი დიდს პატივსა სცემდა. აბატსაც თავი მოჰქონდა ამ პატივის-ცემით.

აბატი ერთს დროს გამოჩენილი ბარონი ვილბუა იყო, მაგრამ გაცრუებულს სიყვარულს ოც-და-ათის წლის ახალგაზდასთვის ანაფორა ჩაეცმევინებინა.

ვილბუას დედ-მამა სასულიერო წოდებისთვის ამზადებდა. მაგრამ შემდეგ მამამ აზრი გამოსცვალა და პარიჟის უნივერსიტეტში გაჰგზავნა კანონ-მდებლობის შესასწავლად. გაათავა თუ არა კურსი ვილბუამ, მამა ფილტვების ანთებით გარდაეცვალა და ცოტა ხნის შემდეგ დედაც ჯავრისაგან თან გადაჰყვა. მოხდენილი ახალგაზდა, კარგად ნასწავლ-განვითარებული, იგი ყველას მოსწონდა და ჩქარა საზოგადოებაში თვალ-საჩინო ადგილი დაიჭირა. უცებ ახალგაზდა, ლამაზი, და მოხდენილი მსახიობი ქალი შეუყვარდა, რომელიც მახლობელ მეგობართან გაიცნო.

შეუყვარდა ვილბუას მთელის ახალგაზდურის გატაცებითა და ტრფიალებით. მსახიობმა ქალმა თავისს ცქრიალა თვალებით და მომხიბლავის პირ-სახით, გაუქრობელი ცეცხლი აღუგზნო გულში ვილბუას. შეყვარებულნი ერთმანეთს აღარა სცილდებოდნენ; ვილბუამ თავი დაანებებინა თეატრისთვის თავისს შეყვარებულს და მთელი ოთხი წელიწადი განუყრელად, ბედნიერად სცხოვრობდნენ და, რაც ხანი გადიოდა, უფრო უცხოველდებოდათ ეს სიყვარული. ვილბუა, რაცა კვირ-

ქის სასამართლოს გამგე საკრებულომ დაადგინა გამორიცხოს ნაფიცი ვექილი კოროლკოვი ტფილისის ოლქის სასამართლოს ნაფიც ვექილთა რიცხვიდგან იმის გამო, რომ იგი ამას წინად საქმის გარჩევის დროს სასამართლოში მთვრალი გამოცხადდა.

⁂ შავის ზღვის პირის გუბერნიის ერთმა მემამულემ, გვარად გაიდუკმა მიჰმართა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა,—შუამდგომლობა აღძრით იმის შესახებ, რომ შავის ზღვის პირის გუბერნიაში დაარსებულ იქმნას სამეურნეო საზოგადოების განყოფილებაო.

⁂ 20 იანვარს, ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში მოხდება „პირუტყვთა მფარველ საზოგადოების“ წევრთა საზოგადო კრება.

⁂ ტფილისის საბალოსნო სკოლის მასწავლებელმა ნ. გ. ლამბაროვმა სთხოვა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს თანამდებობიდგან განმათავისუფლეთო.

⁂ 15 იანვარს მოხდა არჩევანები, „ტფილისის სობრანიის“ მამასახლისებისა: არჩეულ იქმნა სულ 4 კაცი (უნდა აერჩიათ 9): ა. ო. ქიშმიშევი, ნ. ს. ენიკოლოფოვი, ნ. ა. გრიქუროვი და ი. კ. მუტაფოვი.

⁂ თელავიდგან სწერენ „ტფ. ფურ.“-ს: თელავის ქალაქის თვითმართველობამ, განიხილა-რა 1898 წლის გასულს მოხსენება საჭირო ზომების მიღების შესახებ იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა შავი ჭირი იქმნა შემოტანილი ჩვენს ქვეყანაში, დაადგინა აარჩიოს სასანიტარო მზრუნველებად ვ. ი. ვიტოვიჩი, ვ. გ. მიტროფანოვი, ვ. ა. სიმონიშვილი, პ. პ. ხუნდაძე, ი. კ. ყულიჯანოვი, ს. ი. მიღდისოვი, ფ. კ. იონშერი, კ. ვ. სიტპეცკი, ი. მ. ზუბკოვი, ნ. ნ. სელეზნევი და პ. ფ. იხტანოვი და გადასცეს სასანიტარო სამკურნალო კომისიას 300 მანეთი საჭირო ზომების მისაღებად.

⁂ „ახ. მიმ.“ სწერს, რომ აზრადა აქვთ ქუთაისის გუბერნიას განაცალკევონ ბათუმისა და ართვინის ოლქები და იმათგან შეადგინონ ცალკე ოლქი, რომელსაც სახელად ბათუმის ოლქი ეწოდება. ამას გარდა აზრადა აქვთ ქუთაისის გუბერნიასვე განაცალკევონ სოხუმის ოლქი და შავის ზღვის პირის გუბერნიას შეუერთონ.

⁂ ამას წინად „ახ. მიმ“-დგან გადმოვბეჭდეთ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლის ავალიანის მოკვლის ამბავი. ამის შესახებ ჩვენი კორესპონდენტი გვწერს ქუთაისიდგან: ამ ორის დღის წინად აქ, ეგრედ წოდებულ არქიელის გორაზედ, სამწუხარო ამბავი მოხდა. სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეს ავალიანს და მისს ბიძაშვილს სათავად-აზნაურო სკოლის მეორე კლასის მოწაფეს კ. ავალიანს საფანტით გატენილი თოფი მალვით გამოუტანიათ სახლიდან და დაუპირებიათ ჩიტებზედ ნადირობა. პირველს მათგანს გატენილის თოფისათვის ფისტონი დაედო და ჩახმახის დაშვება სდომებოდა, მაგრამ ველარ შეემაგრებინა, ჩახმახი ფისტონს დასცემოდა, თოფი გავარდნილიყო, საფანტი უბედურ კოს. ავალიანს მოხვედროდა ხელში, რომელიც მუცელზედ სჭეროდა. საფანტმა ხელიც გაუხვრიტა თურმე, მუცელიც და წელებიც. ექიმები ბევრს ეცადნენ გადაერჩინათ, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ყმაწვილი ერთ დღე-ღამის შემდეგ გარდაიცვალა.

⁂ ს. ასკანა, (გურია). 31 იანვარს, დილის ათ საათზედ, ასკანის სკოლის დარბაზში დანიშნულია მეორე წლიური კრება ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის (ბანკის) წევრთა. განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ახალი წესდება, რომელიც შემოღებულ უნდა იქმნეს ძველის წესდების ნაცვლად; 2) დამტკიცება 1898 წლის ანგარიშისა; 3) კასის ყიდვა; 4) არჩევა გამგეობის ერთის და საბჭოს ორის წევრის იმათ ნაცვლად, რომელნიც რიგით უნდა გავიდნენ: 5) მიღება ახალ წევრთა; 6) ჯამაგირის დანიშვნა გამგეობის წევრთათვის და სხვა საგნებისა, რომელნიც დასახელებულ იქმნება კრების დაწყებამდე არა ნაკლებ ხუთი წევრისაგან.

⁂ ქუთაისი. 12 იანვარს მარშლის მეუღლის კნ. მ. არჩილის ასულის წერეთლის თაოსნობით „კრუჟოკში“ გაიმართა ბალი, რომლის შემოსავალი გადადებულია ადგილობრივის ღარიბ თავად-აზნაურთა მოსწავლე შვილების სასარგებლოდ. შემოსავალი ხუთას მანეთამდის იყო.

⁂ სოფ. ქვემო გომი, (გორის მაზრა). 8—9 იანვარს, ღამით, აქაურის მცხოვრების თ. ბ—შვილის მარანს, რომელიც სოფელზედ მოშორებით ვენახში იმყოფება, დაუპატიჟებელი სტუმრები ეწვივნენ. რაკი კარები დაკეტილი დახვედროდათ, მარნის ბანი ეთხარათ ბარით, მაგრამ მიწა გაყინული ყოფილიყო და ისევ კლიტე გაეტეხათ. წაღებული აღმოჩნდა ათ თუნგამდის ღვინო, ხილი, რომელიც მარანშივე გადაერჩიათ, ორი ნამგალი, თოხი, ხაპირი და სხ. ზარალი 20 მანეთს აღემატება. აქაურმა მამასახლისის თანაშემწემ ამაზედ ყურიც არ გაიბერტყა.

⁂ ამას წინად „კავ.“ დგან გადმობეჭდილი გვქონდა, რომ ვიღაც მეეტლემ ხუთის წლის ბავშვს გვარად ჩიოტაშვილს დააჯახა ახალ არსენალის ქუჩის დაღმართზედ ეტლი, რომელშიაც მთვრალი კაცები ისხდნენო. ეხლა იგივე გაზეთი სწერს, როგორც პოლიციამ აღმოაჩინა ეტლში მსხდარან მთვრალი კაცები-კი არა, არამედ ქ—ნი ბ. ქალითა და კაცით. ქნ ბ—ს ეტლის ნომერი ვერ დაუხსომებია; მეეტლეს ეტლი არ გაუჩერებია და ქ-ნს ბ.—ს ბავშვის გაჭყლეტა მხოლოთ მაშინ გაუგია თავისის ქალისაგან, როდესაც შინ მისულან. 16 იანვარს ქ-ნ ბ.—ს სამი მეეტლე მიჰგვარეს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა ის, რომლის ეტლსაც ბავშვი გაუჭყლეტია.

⁂ „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, ტფილისის სახელმწიფო თეატრი მომავალის სეზონისათვის ისევ ახლანდელ ანტრეპრენერს ბ-ნ ფარინას აუღია.

⁂ გაზ. „კავკ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ თებერვალში მოხდება საჯარო-ვაჭრობა კავკასიის იმ ადგილების იჯარით გასაცემად, სადაც ნავთია.

⁂ ხაშურის რკინის გზის სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა პოგორელოვმა, გაზ. „კავ.“-ს სიტყვით, შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამ სასწავლებლის მასწავლებლებს და მე-IV და V განყოფილების მოსწავლეებს აღდგომის დღესასწაულების დროს ნება მისცენ ამიერ-კავკასიის რკინის გზით უსასყიდლოთ წავიდნენ ხაშურიდგან ბაქოში.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ვერის მეორე საკვირაო სკოლის მასწავლებელნი დიდს მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვის შემოწირულებათა წყალობით ამ სკოლის 150 მოსწავლეს დაურიგდა ტანისამოსი და ფეხთსაცმელი და საზოგადოდ ყველა იმათ, ვინც დახმარება აღმოუჩინეს 12 იანვარს ამ სკოლაში გამართულ შობის ხეს.

⁂ გაზ. „კავ.“- შემდეგ ამბავსა სწერს: 1898 წლის ივნისის თვეში ქ. გორის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე გორის მცხოვრებელის სტეფანე კარაპეტოვისა, რომელსაც უწესოების ჩადენა ჰბრალდებოდა და მიუსაჯა მას 4 დღით პოლიციასთან დაპატიმრება. თავისი განაჩენი მოსამართლემ გაუგზავნა მაზრის უფროსს. ამ განაჩენის სისრულეში მოყვანა მიანდვეს ქ. გორის ბოქაულს. ბოქაულმა, ეძება-რა კარაპეტოვი, აცნობა მაზრის უფროსს, რომ კარაპეტოვი გორში არ არის, იგი ტფილისში სცხოვრობსო. ტფილისის პოლიცმეისტერმა შეუთვალა, რომ კარაპეტოვი გორელი სახლის პატრონია და მანდა სცხოვრობსო. მიუხედავად ამისა, ბოქაულმა ხელ-ახლა აცნობა მაზრის უფროსს, რომ კარაპეტოვი აქ არ არის, ტფილისში სცხოვრობსო. ასეთმა მიწერ-მოწერამ 1898 წლის ივნისიდგან ამა 1899 წლის 17 იანვრამდე გასტანა, ვიდრე თვით კარაპეტოვი 9 იანვარს ტფილისში არ ჩამოვიდა და არა სთხოვა პოლიციას განაჩენი სისრულეში მოიყვანეთო. ამასთან კარაპეტოვმა განაცხადა, რომ მუდამ გორში ვცხოვრობ, იქ 19 მაღაზია და მრავალი სახლი მაქვს და, როგორც შეძლებულ კაცს, მცხოვრებლები და პოლიცია კარგად მიცნობსო.

⁂ გაზ. „კაზბეკ“-ს ნოვოროსისკიდგან სწერენ: 9 იანვარს ქ. ნოვოროსისკის მახლობლად ქღენტიმ თოფით მძიმედ დასჭრა მუცელში აზნაური სიმ. გოშბერიძე. დაჭრილი საშიშ მდგომარეობაშია.

## ქართული საღამო ბათუმში.

14 იანვარს ბათუმის ქალაქის საკრებულოს დარბაზში დანიშნული იყო ქართული საღამო. როგორც ყოველთვის, საზოგადოება ძალიან ბევრი დაესწრო. ბილეთები სულ გაყიდული იყო, პირველი რიგი ღირდა 5 მან. 20 კაპ., უკანასკნელი, ფეხზედ სადგომი—2 მ.—10 კ. პროგრამმა შესდგებოდა ორის განყოფილებისაგან. მონაწილეობა მიიღეს: ქართულმა ხორომ კავსაძის ლოტბარობით; ხორომ შეასრულა 6 სიმღერა, ყოველ სიმღერას ტაშის კვრით ეგებებოდა საზოგადოება და რამდენიმე სიმღერა გაამეორებინა; გაბუნია-ცაგარლისამ, რომელმაც იმღერა ქართული ხმები „ჩემო კარგო ქვეყანავ“, ამ სიმღერამ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ქ-ნ ძნელაძისამ შეასრულა რუსული რომანსები და ერთიც ქართული—„მშვენიერთა ხელმწიფავ“. სერებრიაკოვმა (ოქრომჭედლიშვილმა) დაუკრა სკრიპკა. ქართულის თეატრის სუფლიორმა გალუსტოვმა წაიკითხა კინტოურ ტანისამოსით ლექსები და სცენები კინტოს ცხოვრებიდგან. ტფილისის სახაზინო თეატრის არტისტმა დელლა-ტორემ (კამიონსკის მაგივრად) შეასრულა იტალიანურს ენაზედ რამდენიმე რომანსი.

დარბაზი ისე კოპწიად და ისე ლამაზად იყო მოწყობილი, რომ მეტი არ შეიძლება. მშვენიერი ყვავილები და გრეხილები ამშვენებდა მას. ეტყობოდათ, რომ გამგეთ არავითარი შრომა და ხარჯი არ დაეშურებინათ, ოღონდ საზოგადოება დაეკმაყოფილებინათ და მართლაც საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. დარბაზს ანათებდა ელექტრონის სანათი, რომელიც განგებ ამ ღამისთვის გაეკეთებინათ. კონცერტის შემდეგ გაიმართა ევროპიული ცეკვა და ჩვენებური ლეკური. ამ დროს აიხადა ფარდა და სცენაზედ გამართული ბუფეტი ხალხის თვალს იტაცებდა. ჰყიდდნენ ყვავილებს, ტკბილეულს, „ქეტონებს“ და სხვას. სცენის შუაში გაკეთებული იყო ხელოვნურად შადრევანი, ელექტრონით განათებული და ყვავილებით შემკული,—რომლიდგანაც ამოდიოდა წყლის მაგივრად წითელი

---

ველია, ჯვარსაც დაიწერდა, მაგრამ ერთს მშვენიერს დღეს გაეგო, რომ საყვარელი ატყუებდა, დიდი ხანია იგი მის მეგობარს, რომელმაც პირველად გააცნო იგინი, ჰყვარობდა.

ეს ამბავი სწორედ მაშინ შეიტყო ვილბუამ, როცა მისი საყვარელი უკვე დასაწოლი იყო და დაწოლის შემდეგ ჯვარიც უნდა დაეწერნათ. ვილბუას დასამტკიცებელი საბუთიც ხელთ ეგდო, კამოდში შემთხვევით ეპოვნა წერილები და ცოლს ღალატსა და უსინიდისობას სწამებდა... ქალმა-კი, გარყვნილ, ზნე-დაცემულმა, დარწმუნებულმა, რომ ახალს მოტრფიალეს ისე ვუყვარვარ, როგორც ამას, მთელის ლანძღვა-გინებით მიჰმართა მას, შეურაცხ-ჰყო იგი და, როდესაც მან ხელი აღმართა დასარტყმელად, ტანში გასწორდა და მუცელზედ ანიშნა.

ვილბუა სახტად დარჩა: დასარტყმელად მომზადებული ხელი ჰაერში გაუშეშდა და თვალ-წინ საშინელი სურათი წარმოუდგა. მისი შვილი ამ ურცხვს, უმსგავსს არსებაშია და ხელ-ახლად ეცა, უნდოდა ორივე გაეთავებინა, სამუდამოდ შერცხვენა თავიდგან აეცილებინა და უმზაკვრო დარჩენილიყო. მთლად აცახცახებულმა ქალმა-კი, რა დაინახა, რომ იმას ორთავეს მოკვლა-გასრესა ჰსურდა, ვილბუას მოღერებულ მუშტს სწრაფად შეაშველა ხელი და შეჰყვირა:

— ნუ მკლავ, შენი ხომ არ არის, იმისია.

ვილბუა უკან გადმოხტა და მთლად აღელვებულმა ძლივს წარმოსთქვა:

— რაო... რა ჰბძანე?.. შიშისაგან გაფითრებულმა ქალმა განიმეორა:

— შენი ხომ არ არის? იმისია.

— ბავშვი? ოდნავ წაიჩურჩულა იმან.

— დიახ.

— ცხადადა სტყუი!

ვილბუა უფრო აღელდა, უნდოდა ხელ-ახლად სცემოდა თავისს შემარცხვენელს და შუა გაეგლიჯა.

ის კი დინჯად წამოდგა, უკან გადასდგა ნაბიჯი და წამოსთქვა.

— მე შენ გეუბნები, რომ ბავშვი იმისია. შენი რომ იყოს, განა აქამდის არ მეყოლებოდა?

ამ მოულოდნელმა პასუხმა მთლად შეაჩერა იგი. დარწმუნდა, რომ ის ქმნილება, რომელიც ამ გარყვნილ არსებას უნდა ჰყოლოდა, მისი არ არის; ამ გარემოებამ ჯავრით სავსე ფიალა მთლად შეუსვამბუქა და ქალის მოკვლის აზრი განაშორებინა.

— ადე, დაიკარგე და დღეის უკან ჩემს სახლში აღარ გნახო! წარმოსთქვა ვილბუამ უფრო დამშვიდებულის ხმით.

ქალიც წამოდგა და წავიდა. ვილბუა მას დღე აქეთია აღარ შეჰხვედრია იმას.

თითონაც განშორდა იმ მხარეს და შორს, სამხრეთისკენ გაემართა. იქ ერთს სოფელში დროებით დუქანში ჩამოხტა და, რა-კი მოეწონა სოფლის ზღვის პირის მდებარეობა, იქ დარჩა. მთელი თვრამეტი თვე გაატარა ასე, ჰგლოვობდა უიმედოდ დაკარგულს სიყვარულს და ცრემლს აფრქვევდა. მთელი დღეები პროვინციის ჰალებში დაყიალებდა და გულსაკლავი აზრ-ფიქრები გულსა და გონებას უღალავდა.

ესრედ გულჩათხრობილმა და კაეშან-მოდებულმა ვილბუამ, ჰგრძნობდა რა ყველასაგან დატოვებულად, მიგდებულად თავს, კვლავ ღმერთს მიჰმართა და მისგან მოელოდება შვებასა და იმედს. მუდამ საღამოობით ლოცვა, რომელიც მას პატარაობიდანვე ჩვეულებადა ჰქონდა, უფრო გაუცხოვლდა. საღამოობით, როდესაც ბინდი მოეფინებოდა ხოლმე არე-მარეს, გულ დაჩაგრული ვილბუა მუხლ-მოდრეკილი იდგა სოფლის ეკკლესიაში და ხატის წინ ოდნავ მოციმციმე სანთელს უერთებდა თავისს მხურვალე და აღგზნებულს ლოცვას.

თავისს მწუხარებას ღვთის წინ აღიარებდა, იმასა სთხოვდა შველას, რჩევას, მფარველობას და ეს გამუდმებული ლოცვა თან და თან უფრო უცხოველდებოდა და აღელვებდა.

იმისს გატეხილ გულს ჯერ კიდევ სიყვარული და ტრფიალება სწყუროდა, რო გამუდმებულმა ლოცვა-ვედრებამ, განუქარვა რა პირველი გრძნობა, მისტიკური სიყვარული გაუღვიძა გულში.

იგი ისევ ძველს გზას დაადგა. გარდასწყვიტა შავბედითი და გამწარებული სიცოცხლე ეკკლესიისათვის შეეწირა, რომელსაც ჯერ ისევ უმანკო გულს უმზადებდა.

ვილბუა ჩქარა მღვდლად ეკურთხა და ნათესაობის შემწეობით სწორედ იმ სოფელში გაამწესეს, სადაც შემთხვევამ შეაკედლა იგი. მთელი თავისი საცხოვრებელი საქველ-მოქმედო საქმეებს მოანდომა და თავისთვის მარტო იმდენი დაიტოვა, რამდენიც საჭირო იყო მისის წყნარის ცხოვრებისათვის. ღარიბ-ღატაკთა დიდი შემწე იყო და თავისს კეთილმსახურს ცხოვრებას სულ მახლობელთა სამსახურს ანდომებდა.

ვილბუა გულ კეთილი მღვდელი გამოვიდა, თუმცა კი ქალები ძალიან ეჯავრებოდა, რაღაც ბავშურს მოკრძალებასა და შიშსა ჰგრძნობდა იმათ წინაშე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინო. სცენის კედლებზედ ხალიჩები იყო გაკრული და რამდენიმე ტახტი იდგა მუთაქებით აზიურ გემოვნებაზედ მორთული. აუზის გარშემო ელაგა: ყანწი, ბადიები, კულები და სხვანი.

გ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ახალ-სენაკი.** ამ ხელად აქ საყურადღებო და სამწუხარო საგანი გახდა ყვავილის გაჩენა ახალ სენაკში. ყვავილმა ისე დააფრთხო ზოგიერთი ხალხი, რომ ბევრი აქაური მცხოვრები მთელის თავისის ჯალაბობით გაიქცა და სხვაგან გადაიხიზნა. თავდაპირველად ყვავილი აქაურს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოსამსახურეს გაუჩნდა, რომელიც უკვე იმსხვერპლა. შემდეგ სენი დაემართა მოსამსახურის ცოლს და ესეც იმსხვერპლა. შობა-ახალწლის შუა კიდევ მეორე მოსამსახურე გარდაიცვალა ფოსტაში. მერე სენი მოედო თითქმის მთელს დაბას. უბედურება ის არის, რომ ყვავილი ძალიან მაგრად ჰკიდებს ადამიანს ხელს და ვინ იცის რამდენს არ გამოასალმებს წუთი-სოფელს. პირველში არავითარი ღონისძიება არ იყო მიღებული, თორემ ასე არც კი გავრცელდებოდა ეს სენი. ფოსტაში ყვავილით შეპყრობილი ადამიანი იწვა, სადაც ყოველ დღე ასობით დადიოდა ხალხი და, რასაკვირველია, ავადმყოფობა მოედებოდა ხალხს! არავის ფიქრად არ მოსვლია, ავადმყოფი იმ ადგილიდგან გადაეყვანათ სხვა ბინაში და ხალხისაგან დაეშორებინათ. ახალ-სენაკი მცხოვრებლებით, თუ მოკაჭრეებით ივსება და მრავლდება. საკვირველია, ამოდენა ხალხს ერთი თავ-შესაფარი არა ჰქონდეს ავადმყოფთათვის. ნუ თუ ისე დაცემულია დაბა, რომ ერთის, ან ორის ოთახის დაქირავება არ შეუძლიან უპატრონო და უსახლ-კარო ავადმყოფთათვის? ამ გვარი ადამიანი ახალ-სენაკში მრავალია, თითო გროშის მოსაპოვებლად მოსულნი და დროებით მომუშავენი. დაბა ღვთით ისე დაცემული არ არის ნივთიერად, რომ ორის ოთახის დაქირავება აღარ შეეძლოს, მაგრამ ამას კაცი უნდა და, როგორც სჩანს, კაცის შოვა თურმე ადვილი არ ყოფილა ახალ-სენაკში. ნუ თუ ამ საქმეში მაინც არ გამოადგება თავისი დეპუტატები დაბას?! საჭიროა, რომ მაზრის ადმინისტრაცია ჩაერეოდეს ამ საქმეში და დაბას დროებით აქირავებინებდეს ამ გვარ ავადმყოფთათვის ქალაქის მოშორებით ბინას.

ტელეფონი

## უცხოეთი

**ავსტრია.** ვენის პარლამენტის გერმანელ ოპოზიციის ანტისემიტებისა, დიდრონ მემამულეთა და მაურერის დასის წარმომადგენელთ კრება ჰქონიათ ამ დღეებში და შემდეგი მუხლები შეუმუშავებიათ, რომელნიც მთავრობამ უნდა მიიღოს, თუ სურს, რომ გერმანელ ოპოზიციამ უწესოებას თავი დაანებოს და პარლამენტს შეძლება მიეცეს რისამე გაკეთებისა:

1) გაუქმებულ იქმნას განკარგულება ენების შესახებ; 2) სამსახურიდგან გადაგდნენ ყველა ახლანდელი მინისტრები; 3) ჩეხია განაწილებულ იქმნას ოლქებად იქ მცხოვრებ ეროვნებათა მიხედვით; 4) მოისპოს გერმანელების წინააღმდეგი მიმართულება და 5) წეს-რიგში იქმნას მოყვანილი ენების შესახებ კითხვა მთელს ავსტრიაში. ჩამოთვლილს მუხლებში ახალი არა ურევია-რა, ეს განმეორებაა იმისი, რაც არა ერთხელ მოუთხოვიათ გერმანელებს გაზეთებით, პარლამენტში და თავიანთს კრებებზედ. რაღა თქმა უნდა, მთავრობა ჩამოთვლილს საგნებში არც ერთს არ შეიწყნარებს.

—

**იტალია.** პალერმოს და ნეაპოლის უნივერსიტეტებში მომხდარ უწესოების გამო სახალხო განათლების მინისტრი სწერს ამ უნივერსიტეტების რექტორებს: მე მომწონს უნივერსიტეტის დახურვა საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ. საყოველთაოდ გამოაცხადეთ, რომ სტუდენტები ამ ზაფხულს ჰკარგვენ, რადგან ეგზამენები აღარ მოხდება მაშინ. სტუდენტების მშობლებს წერილით აცნობეთ, რომ ლექციების განახლებისას, როცა ამას საჭიროდ სცნობთ თქვენვე, უწესოება თუ კიდევ განმეორდა, მთელი წლიწადი დაეკარგებათ სტუდენტებს. აგრეთვე გამოაცხადეთ, რომ გამომიება რა ზარალსაც აღმოაჩენს, ყოველივე ეს მოეთხოვება დამნაშავეთ, ანუ იმათ, ვიზედაც კანონი მიგვითითებს.

—

**ჩერნოგორია.** როგორც ცეტინიიდგან იუწყებიან, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს საჩუქრად გაუგზავნია ჩერნოგორიის მთავარ ნიკოლოზისათვის პატარა, მაგრამ ერთობ მშვენივრად მორთული გემი. ეს გემი ამ ჟამად მდინარე ჩერნოევიჩაშია, ხოლო შემდეგ სკადრის ტბაში გაიყვანენ.

—

**ეგვიპტე.** ამ მოკლე ხანში პარიჟში გარდაიცვალა ეგვიპტის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ნუბარ-ფაშა, შთამომავლობით სომეხი. ქედივის სურვილისამებრ ნუბარი სახელმწიფო ხარჯით ეგვიპტეში უნდა იქმნას წასვენებული დასასაფლავებლად. პარიჟში უკვე მოუხდენიათ განკარგულება ნუბარის წასასვენებლად. დასაფლავების დღეს ლონდონში პარაკლისი იქმნება გარდახდილი ნუბარის სულის მოსახსენებლად.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ავტორი „საქართველოჲს ძველი დროის თავ-გადასავალისა“.

პატივცემულმა „მწყემსის“ რედაქტორმა დეკ. დ. ღამბაშიძემ ამ დღეებში დაურიგა თავისს ხელის მომწერლებს მის მიერ დასტამბული წიგნი შემდეგის სათაურით: „საქარველოჲს ძველი დროის თავ-გადასავალი, ლექსად დაწერილი (ძველი ხელთ-ნაწერი) გამოცემული დეკ. დ. ღამბაშიძის, მიერ.“ გამომცემლის წინასიტყვაობიდგან ვტყობილობთ, რომ წიგნი დაბეჭდილია ხელთ-ნაწერიდან, რომელიც ეხლა ეკუთვნის პეტერბურგის საჯარო წიგნთ-საცავს და წინად ეკუთვნოდა იოანე ბატონიშვილს. ხელთ-ნაწერს ბოლო ჰკლებია, განცალკავებული სათაური არა ჰქონია, გარდა ცალკე თავებისა. პირველი ნახევარი შავად ყოფილა დაწერილი, მეორე ნახევარი, რომელიც ასლია პირველის ნახევრისა, უფრო ლამაზად და მუქ ქაღალდზედ. დაბეჭდილი წიგნი, გამომცემის სიტყვით, შეადგენს მეორე ნახევარს ხელთნაწერისას და შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობის გალექსვას. ხოლო პირველი ნაწილი, რომლის დაბეჭდვა სამერმისოდ განუზრახია გამომცემელს, წარმოგვიდგენს ძველის აღთქმის გალექსვას. „ეს ძვირფასი განძი ქართული მწიგნობრობისა“, მოგვითხრობს გამომცემელი, „მეტად დაშორებულია ქართველის მიერ ხილვასა და გარდაკითხვას, ამიტომაც საჭიროება ამისთანა შორეულის მასალის გამოცემისა უფრო და უფრო თვალ საჩინო და საშურია“. შემდეგ პატივცემული გამომცემელი განაგრძობს: „სამწუხაროდ დამწერ-გამლექსავის არც ვინაობა ვიცით და არც ხანა არსებობისა“.

ხსენებულ გამოცემას, როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგიერთ გაზეთებმა თავისი შენიშვნები უძღვნეს და, სხვათა შორის, დაიბეჭდა ბ. ა. ხ—შლის ჩვეულებრივი რეცენზია, მაგრამ რეცეზენტებმა განიმეორეს იგივე, რაც წინასიტყვაობაშია და სხვა ვერავითარი ახალი ცნობა ვერ მოგვაწოდეს. ავტორი და დრო წიგნის დაწერისა უცნობი დარჩა, როგორც გამომცემლისათვის, ისე რეცენზენტებისათვისაც.

ვინაიდგან პატივცემულს დეკანოზს დ. ღამბაშიძეს განუზრახავს ხელნაწერ-ის პირველი ნახევრის გამოცემაც, ამიტომ საჭიროდ დავინახეთ მკითხველებს განუზიაროთ, თუ ვინ არის ავტორი აღნიშნულის წიგნისა და ზოგიერთი ცნობები მოვიყვანოთ იმის შესახებ. იმედი გვაქვს, რომ გამომცემელს ეს ცნობები გამოადგება და ახალი გამოცემა კიდევ უკეთესი იქნება ეხლანდელზედ.

წიგნი, რომელიც დეკ. დ. ღამბაშიძეს დაუსტამბია, შეადგენს ერთ ნაწილს წიგნისას, რომელსაც ეწოდება „წიგნი მრავალ-ფერ ყუავილოვანი“. ხოლო ავტორი „წიგნისა მრავალ-ფერ-ყუავილოვანი“ არის ყარიბი (ასე უწოდს ავტორი თავისს თავს) პეტრე გიორგის ძე ლარაძე. პეტრე ლარაძეს ბევრი ლექსები უწერია და ბოლოს ყველა მისი ნაწერები შემოუკრებია ერთად და განუყვია სამ წიგნად. ერთი წიგნი წარმოგვიდგენს განცალკევებულ თხზულებას და შეიცავს დილარიანს, მეორე წიგნი ყოფილა „სახე მგოსანი“. ხოლო მესამე წიგნში შეკრებილია ყველა დანარჩენი ნაწარმოები პეტრე ლარაძისა და ამ წიგნისათვის თვით ავტორს დაურქმევია „წიგნი მრავალ-ფერ-ყუავილოვანი“. ავტორი თვითონ ამბობს:

„ამა წიგსა ჰსძეს სახელად
მრავალ-ფერ-ყვავილოვანი,
მით რომე სხენან სხუა და სხუა
ჰამბავნი სახელოვანი,
ვით მტილი ყვავილ მრავალი,
სატრფობი არ ეკლოვანი
და მოალხენს მჭვრეტთა გულებსა,
ყმანი იყვნენ თუ მხცოვანი“.

ამის შემდეგ იწყება წინასიტყვაობა წიგნისა, რომელიც შეიცავს თერთმეტ ლექსს და რომელშიაც მოყვანილია ცნობები ავტორის ნაწერებისა და ამ წიგნის შინაარსის შესახებ. ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ ავტორს თავისს სიცოცხლეში სულ 20,000 ლექსი დაუწერია, თუ ამ სათვალავში დილარიანსაც ჩავთვლით; თავის ნაწერები გამოუცია სამ წიგნად: ერთ წიგნად დილარიანი, მეორე წიგნად „სახე მგოსანი“, რომელიც თურმე შეიცავს 1,900 ლექსს, და მესამე წიგნად „წიგნი მრავალ-ფერ-ყუავილოვანი“, რომელიც ერთს ხელთ-ნაწერში შეიცავს 2136 ლექსს 344 სათაურით, ხოლო მეორეში— 2185 ლექსს. წინასიტყვაობას ავტორი ასე ათავებს: „და ათთაგან ერთი შევკრიბე ჩემთა თქმულთა აქა წყობითა“. შემდეგ მოსდევს ძველის აღთქმის გალექსვა ადამიდგან დავით წინასწარმეტყველამდე. დავით წინასწარმეტყველს უკავშირებს ქართველ ბაგრატიონების შთამომავლობას ისე, როგორც ქართლის ცხოვრება, და მერე გალექსილია ქართლის ცხოვრების ტექსტი თამარის მეფობის დასასრულამდე.

შემდეგ მოყვანილია შესხმა თამარ მეფისა *), და ბოლოს სხვა-და-სხვა ლექსები პეტრე ლარაძისა. ასეთი ხასიათი აქვს ორს ხელთ-ნაწერს მრავალ-ფერ-ყვავილოვანის წიგნისას, რომელიც მოიპოვება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავში, №№ 155 და 387.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დეკ. დ. ღამბაშიძის გამოცემა შეადგენს ძლიერ განსხვავებულს ვარიანტს წერა-კითხვის საზოგადოების ხელთ-ნაწერებთან შედარებით. ამ ხელთ-ნაწერებში სრულიად არ არის ტექსტი თამარის გარდაცვალებიდგან დაწყებული ბოლომდის (იხილე დ. ღამბაშიძის გამოცემის გვ. 183—237) და წინა ლექსებიც სხვა რიგად არის დაწყობილი, სათაურები არ ეთანხმება დაბეჭდილს და სხვა ბევრი განსხვავებაა შიგ. ერთ ხელთ-ნაწერში № 155 ბევრი ცალიერი ადგილია დატოვებული, რომლიდგანაც სჩანს, რომ ტექსტი სრული არ არის ამ ხელთ-ნაწერში. ამ ნაკლს ავსებს ხსენებული გამოცემა.

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავში მოიპოვება აგრეთვე მეორე შრომა პეტრე ლარაძისა „დილარიანი“, რომელიც, როგორც ეტყობა, ავტოგრაფი უნდა იყოს (№1193). „დილარიანი“ დაწერილია პროზად და ლექსად, ისე როგორც ქილილა და დამანა. ლექსი სხვა-და-სხვა გვარის არის, მაგალითად შაირი, ჩახრუხაული და „ყარიბული“. ეს უკანასკნელი პეტრე ლარაძის გამოგონილია, როგორც თითონ ამბობს. ლექსი ოც მარცლოვანია, ტაეპში აქვს ოთხი ლექსი და თითოეული ლექსი განიყოფება სამად, რომლის პირველ ორ ნაწილს აქვს ერთნაირი დაბოლოვება. აი მისივე სიტყვები ყარიბულის შესახებ და ყარიბულის მინუში:

„ქვალა ეს ყარიბული, ახლად შემოღებული, ლექსი გვარად ტკბილადა,
თვით ჩემგან შეწყობითა, იქმნა მოგონებითა, ტურფად შეწყობილადა,
სხვასა არავის სადა, ეს გვარი განეცხადა, თუ ვის აქვს ქადილადა,
და სახსოვრად ჩემდა ესე აქარე განავწესე წარვალ ვით აჩრდილ და“.

წინასიტყვაობაში „დილარიანისა“ ავტორი მოგვითხრობს, რომ მეფე ერეკლეს დროს განიზრახეს „დილარიანის“ აღდგენა. ეს შრომა, როგორც ეტყობა, პეტრესთვის მიუნდვიათ, მაგრამ მაშინ მას ეს ვერ შეუსრულებია მოუცლელობისა გამო და შემდეგ პეტერბურგში ყოფნის დროს დაუწერია დილარიანი. წინანდელ „დილარიანს“, სარგის თმოგველის თხზულებას, თამარის დროისას, ავტორის სიტყვით, ჩვენამდის არ მოუღწევია. ბოლო სიტყვაობაში პეტრე ლარაძე, მოგვითხრობს, რომ მან ერთი „დილარიანი“ დაწერა შავად, ეს გაიგო მეფის ძემ იოანემ, მიიღო მასთან და მოსტაცა. მხოლოდ მან ხელ-მეორედ და უკეთ შეთხზა დილარიანი. ჩვენ ხელთ-ნაწერს გ. ავალოვის მინაწერი აქვს ბოლოში, რომლიდგანაც სჩანს, რომ ის მიუღია მას მოსკოვში ტფილისიდგან 1833 წელს გიორგი იგნატის ძის თუმანოვისაგან. აქედგან სჩანს, რომ „დილარიანი“ 1833 წლამდის დაუმთავრებია პეტრე ლარაძეს.

რაც შეეხება წიგნს მრავალ-ფერ-ყვავილოვანს ერთ ხელთ-ნაწერში (№ 155) 374 გვერდზე მოყვანილია ერთი ლექსი, რუსულიდგან გადმოღებული სამეგრელოს მემკვიდრის დავითის მიერ და შესწორებული ანუ, როგორც ლარაძე ამბობს, გაიამბიკოებული პეტრეს მიერ 1834 წელს, ივნისის 19. ხელი ამ ლექსისა სხვაა, ვიდრე უმეტესი ნაწილი ტექსტისა და, ჩვენის აზრით, ხელთ-ნაწერი 1834 წლის ადრე უნდა იყოს გადაწერილი. რაც შეეხება მესამე თხზულებას პეტრე ლარაძისა — „სახე მგოსანი“ ეს ჩვენ ჯერ არ შეგვხვედრია.

(დასასრული იქნება)

*) ეს შესხმა პეტრეს დაუწერია 1825 წ.

## დამკვირდი

მხოლოდ ის სიყვარულია ხანგრძლივი, დაუბოლოვებელი, რომელიც პატივისცემაზეა აშენებული.

* * *

შვება რომ მართლა ღმობიერი იყოს, კაცობრიობას აქამდის ათასჯერ გაახედნიერებდა თავისის... განშორებით.

ბ. დ—ლი

* * *

დაივიწყნიან მეგობარნი გლახაკნი მეგობართაგან განდიდებულთა, რამეთუ სახლი მდიდართაჲ სთნავს მდიდართა.

ნიკოლოზ ტფილელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ლონდონის ფასი ისე დიდია, რომ მთელის ქვეყნის ფული არ ეყოფა, რომ ამ ქალაქის გაყიდვა მოინდომონ. ლონდონის ქალაქის ლორდმერის სახლი ჰღირს 20 მილიონ ფრანკად. ბირჟის სადგურს აფასებენ 40 მილიონ ფრანკად. ფოსტის სადგური ჰღირს 50 მილიონ ფრანკად. ინგლისის ტოუერში არის 35 მილიონის თვალ-მარგალიტი და ძვირფასი ნივთი. წმ. პავლეს ტაძარი და ტაძარი ვესტმინსტერის სააბატოსი ერთ მილიარდად არის დაფასებული. სხვა-და-სხვა მუზეები თითო რამდენსამე მილიარდად ჰღირს. მდინარე ტემზას ნაპირების შეკეთება დაჯდა ერთ მილიარდად, ელექტრონის რკინის გზა ლონდონისა 300 მილიონად, არხების გაყვანა 500 მილიონად. ლონდონში 770,000 დიდი სახლი ითვლება, ღირებული 35 მილიარდად.

* * *

ამერიკის ელჩი ჰანკუდგან ბევრ საყურადღებო ცნობებს იუწყება ჩინეთში ელექტრონის მანქანების გავრცელების შესახებ. ჩინეთში გუნანის პროვინციის უმთავრეს ქალაქ ჩანგში აგერ ორი წელიწადია, რაც ტელეგრაფია გამართული. ამ ჟამად ეს მთელი ქალაქი და დიდრონი სახლები ელექტრონით არის განათებული. სასახლის შესავალიც განათებულია ელექტრონის ლამპარით, რომელსაც 2000 სანთლის სინათლე აქვს. მცხოვრებნი ამ ლამპარს მთვარეს ეძახიან. ქალაქ ხანკოუშიაც დაარსდა ერთი საზოგადოება, რომელსაც საგნადა აქვს მთელი ქალაქი ელექტრონით გაანათოს.

## ხალხური ლექსები.

(გაგონილი ქვემო იმერეთში და ჩაწერილი ივანე ცქიტიშვილისაგან)

ტოლუმბაშო, ჩანჩალაო,
ღვინო გვასვი ჩქარ-ჩქარაო...
ტოლუმბაშო ბუაძეო,
ჯვიან მოხვალ ჭკუაზეო...
მე მინახავს ტოლუმბაში,
ოთხს კაცს რომ მიჰქონდათ კარში...
ღვინოს გასმევ კულაშელსა,
გადაგიწყვეტს ულვაშებსა...
ღვინოს გასმევ ჯიხაშელსა,
გამოგიყვანს სუმთლად შტერსა...
ღვინოს გასმევ ხონელსაო,
მოგიმატებს ღონესაო...
ღვინოს გასმევ მაღლაკელსა,
გათამაშებს მალაყებსა...
ღვინოს გასმევ ბაშელსაო,
გაგიბერავს ფაშვებსაო!..

—

ჭყინტი ყველის ჭამა მინდა,
კბილის გაკრაჭუნებაო,
გოგოების კოცნა მინდა,
გულში ჩახუტუნებაო...
გაღმა გამოღმა ბალები
ზედ გასულიყო ქალები,
ერთი შეხედვით შევატყობ,
რომელსაც შევებრალები!...
ამ ყმაწვილსა შეუკერავს
თეთრი ჩოხა ოსურიო,
თითო ყველმა მიულოცოთ,
მას ქალი ჰყავს ორსულიო...
ქურში ღვინო დავაყენე
ამოვიდა ალევიო...
გოგო, შენ რომ დაგინახავ
მეჭუტება თვალებიო!

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო: 1, „კათოლიკენი საქართველოში“,—ლ. ისარლიშვილისა. წიგნი შეიცავს 36 გვერდს და ღირს 10 კაპ.

2, „ქართველ კათოლიკეთა შესახებ“—პ. იზაშვილისა. შეიცავს 18 გვერდს და ღირს 10 კაპ. ორივე წიგნი ზ. ჭიჭინაძის გამოცემულია.

## დეპეშა

16 იანვარი

**ვენა.** „Neue Freie Presse“-ს დეპეშით აცნობებენ ბუდაპეშტიდგან, რომ ოპოზიციამ თანხმობა განაცხადა ობსტრუქციონიზმს თავი დაანებოს და მთავრობას შეძლება მისცეს დროებითი ხელშეკრულობის დადებისა, თუმც ოპოზიცია დარწმუნებული იქმნება, რომ მომავალი მთავრობა მოსპობს ამომრჩეველთა შევიწროებას და სხვა ნაკლულევანებას.

**მადრიდი.** კორტესები შეიკრიბება 20 თებერვალს. კრება დიდხანს არ გასტანს. სავასტა წინადადებას მისცემს დედოფალს ნდობის შესახებ.

**პარიჟი.** მთავრობა კანონ-პროექტს წარადგენს ორშაბათს იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმეებს განიხილავდეს ხოლმე საკასაციო სასამართლოს ყველა პალატის კრებული.

**პარიჟი.** ის ფაქტები, რომელთაც უჩვენებს მაზო თავისს მოხსენებაში, არ თხოულობს სასამართლოს წევრთა დასჯას, რომელთა წინააღმდეგაც გამოძიება იყო დანიშნული. მოხსენება ამ სიტყვებით თავდება: „კეთილგონიერება მოითხოვს, დრეიფუსის საქმის გადათვალიერების შესახებ განჩინების დადგენა მარტო საკასაციო პალატას არ მიენდოსო“.

**ლონდონი.** ლორდ ასკვიტმა გუშინ დანვენში სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც ამტკიცებდა, რომ ამ უკანასკნელ ხანში მომხდარ ამბებმა, მოსპო-რა საშიშო ლტოლვინებანი, წინ წამოაყენა და შესაძლოდ ჰყო ინგლისსა და საფრანგეთს შორის მორიგება. ასკვიტმა შემდეგ ილაპარაკა ინგლისისა და რუსეთის ერთმანეთთან მორიგების საჭიროების შესახებ აზიაში.

**მიუნხენი.** იმ კომიტეტმა, რომელიც სამშვიდობო კონფერენციის სარგებლობის საქადაგებლად შესდგა, დაადგინა განცხადება გამოსცეს, რომელშიაც ნათქვამი იქნება, რომ კომიტეტის სურვილი ის როდია, გერმანიამ ფარ-ხმალი დაჰყაროს, მაშინ როდესაც მთელი ქვეყნიერობა შეიარაღებულია, არამედ ისა სურს კომიტეტს, რომ სახელმწიფოების ერთმანეთთან მორიგებით შეძლების დაკვალობაზედ ომის ატეხა თავიდგან აშორებულ იქმნას, ომიანობის საშიშო შედეგი შემცირდეს და შეიარაღების მუდამ გაძლიერებას საზღვარი დაედვასო.

17 იანვარი.

**პეტერბურგი.** 1898 წლის თებერვლიდგან მანეთიან ქაღალდის ფულის გაცემა სახელმწიფო ბანკისა და ხაზინის კასებიდგან მოსპობილია, და მხედველობაშიაც არ აქვსთ ახალის მანეთიან ქაღალდის ფულის გამოცემა. ეხლა ყალბი ქაღალდის მანეთიანები გაჩნდა, კარგა ხელოვნურად გაკეთებული, რისთვისაც, ზარალის თავიდგან ასაშორებლად დიდის სიფრთხილით უნდა აღოს კაცმა მანეთიანი ქაღალდის ფული, ხოლო ვისაც აქვს ქაღალდის მანეთიანები, სახელმწიფო ბანკისა და ხაზინის კასებში უნდა წარადგინოს გამოსაცვლელად.

,,მთავრობის უწყებაში“ დაბეჭდილა: ,,უკანასკნელს ხანს სხვა და სხვა წყაროდგან ცნობები მოდის, რომ მომავალის გაზაფხულისთვის მაკედონიაში სარევოლიუციო მოძრაობას ამზადებენ, რომლის უმთავრეს ხელმძღვანელად არიან ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ რამდენსამე ადგილას შემდგარი მაკედონიის კომიტეტებიო. სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ოსმალეთის მთავრობა, რომელიც თავისს დროზედ გაფრთხილებულ იქმნა, ყოველივე ღონეს იხმარს და მაკედონიაში თან და თან შემოიღებს ხალხის ინტერესებისათვის ნამდვილ საჭირო ადმინისტრატიულ და სამოსამართლო ცვლილებებს.

პოლიტიკური აგიტატორები, ასეთის ცვლილების დაუცდელად, გაფრთხილების მიუხედავად, პირადის ანგარიშებით არეულობას და რევოლიუციონურს მოძრაობას თუ გამოიწვევენ მაკედონიაში, სარწმუნოდ შეიძლება ითქვას, რომ ეს მოძრაობა ვერავითარს თანაგრძნობას ვერ მოიპოვებს ვერც რუსეთში და ევროპის ვერც ერთს სხვა რომელსამე სახელმწიფოში.

**ჰელსინგფორსი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ რუსული ენა უნდა იცოდნენ სენატორებმა, გუბერნატორებმა და საზოგადოდ ქვეყნის ყველა უმაღლესმა მოხელემო.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტომ“ გამოგზავნა ცნობა, რომ მაზოს მოხსენებაში, რომელიც გამოქვეყნებულ იქმნა, შეცთომა იყო და ასე უნდა შესწორდესო: „მოხსენება ამ სიტყვებით თავდება: ეჭვი არ არის რა სისხლის სამართლის პალატის კეთილ-სინიდისიერების შესახებ, ყოველ შემთხვევაში კეთილ-გონიერება მოითხოვს მარტო იმის პასუხის მგებლობაში არ დარჩეს საქმის სრულებით გადაწყვეტაო“.

**პარიჟი.** პალატის კარიდორებში სარწმუნოდ ლაპარაკობენ, რომ მთავრობის პროექტის გამო სისხლის სამართლის პალატის არც ერთი წევრი არ გადადგება სამსახურიდგან, მაგრამ თუ მაინცადამაინც ერთმა ანუ ორმა წევრმა სამსახურს თავი დაანება, ეს საქმის მსვლელობას ვერ შესცვლის, მიტომ რომ გამოძიება საქმის გადასინჯვის შესახებ გაგრძელდება და დასრულების შემდეგ წარედგინება განსახილველად საკასაციო სასამართლოს ყველა პალატის კრებულს, თუ-კი პარლამენტმა შეიწყნარა მთავრობის კანონ-პროექტიო.

**პარიჟი.** სამხედრო მინისტრმა ნება დართო პოლპოლკოვნიკს კორდიეს საჩივარი შეიტანოს „Libre Parole“-ს წინააღმდეგ.

**ქაირი.** დღეს აბბარსა და ვოდიგალდფში ინგლისის დროშა იქმნა გაშლილი.

**სოფია.** მთელი კაბინეტი სამსახურიდგან გადადგა. რამდენათაც ცნობილია, გრეკოვს მიენდო ყველა დასის წარმომადგენელთაგან სამინისტროს შედგენა.

**რომი.** პალატამ 226 ხმით, 84 წინააღმდეგ, შეიწყნარა საფრანგეთ-იტალიის სავაჭრო ხელშეკრულება.

18 იანვარი

**მურსია.** ტალიისის ქვა მადაროებში, მაზარონის მახლობლად, აფეთქება მოხდა. 14 მუშა მოკლულ იქმნა. აფეთქდა გაზი.

**ნოვოჩერკასკი.** დღეს, დილით, ერთ-ერთ ქუჩაზედ, ჰნახეს ცეკვის მასწავლებელის ჟოზეფინა სიმანოვსკაიას გვამი. სიმანოვსკაია როსტოვში სცხოვრობდა. გვამი ეტლით მოუტანიათ აქ და განსვენებულის ნივთებთან ერთად დაუგდიათ მკვლელობა მეტად საიდუმლოა.

**ტუნისი.** ლავიჟერის ძეგლის გახსნას კართაგენის სობოროში დაესწრნენ ყველა სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი, აგრეთვე აურაცხელი ხალხი. კარდინალმა პერრომ წარმოსთქვა სიტყვა და მოაგონა მსმენელი ლავიჟერის პატრიოტობა და იმის ბრძოლა მონობის წინააღმდეგ.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

რომიდგან ერთი ქართველ კათოლიკეთა ბერი, რომელიც ფრანგულს ენაზე საქართველოს და ქართველ კათოლიკების შესახებ ხშირად სწერს წერილებს, გვავალებს რამდენისამე ისტორიულ საბუთის განხილვასა და გაგზავნასა, რომლითაც იგი იხელმძღვანელებს და თავისს აღწერებში მოათავსებს.

26 კითხვათა შორის არის შემდეგი: 1, რომელ მხარეს და რომელს ეკკლესიის კედლებზედ წაჰფხიკეს ქართული ნაწერები და მის მაგიერ რა ენაზედ დააწერეს. ასეთ კითხვების ცნობები ვახუშტის გეოგრაფიაშიაც მოიძებნება და დ. ბაქრაძის მიერ საქართველოს ნაშთთა აღწერაშიაც, რომელიც მოთავსებულია „კავკასიის აქტების“ მეხუთე ტომში, მაგრამ ეს არ კმარა.

საჭიროა ვიცოდეთ, თუ დღეს სად რა მოხდა ასეთი, თორემ წარსულის ცნობები ხელთ არის. ამის შეკრება მით უფრო საჭირო, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველთა ნაშთებზედ რამდენსამე ალაგას მოხდა ასეთი შემთხვევა. ამიტომ ურიგო არ იქმნება, თუ ვინმემ რამე იცის, ეს არ დასტოვოს და გაზეთის საშუალებით გამოაქვეყნოს.

2, ნუ თუ მართლა XIV საუკ. ნახევარს ახალციხე სომხებს ეკავათ და ძველადაც ამ ქალაქს სომხურად „იშხანა გილ“ ერქვა, ე. ი. თავადების სოფელი. ან რა საბუთია იმისა, რომ არდანუჯი სომხეთის ნაწილის დაბა იყო და ძველად სომხურად „ორჯნახი“ ერქვა?

3, გიორგი მე-XI-სთან, სპარსეთში, ყოფილა ვთიმე ეპისკოპოზი, ესენი იქ ვითომც მაჰმადიანობას აღიარებდნენ (შეის სჯულს). საქართველოში დაბრუნების შემდეგ ევთიმე ეპისკოპოზი ქრისტიანობას შეერთებია და 1687 წ. რომის პაპს წერილს სწერს. ვინ არის ეს ეპისკოპოზი, ამის წერილების და ცხოვრების ცნობების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით.

4, 1742 წელს, რომში, პაპას სომხების დევნის შესახებ სწერს: წერილის ბოლოს სახელს ასე აწერს: „Rergius stobuli Praefectus“, „რეგიუს სტობული პრეფექტუს“. ამ თავად პრეფექტს და ზემოდ დასახელებულ ევთიმე ეპისკოპოსზე „საქართველოს მეფეებისაგან უხო ანუ რუსეთის მეფეებთან მიწერ-მოწერაში“ არა მოიპოვება-რა, რომელიც 1848 წ. აკადემიკმა ბროსემ დაჰბეჭდა ცალკე წიგნად. თუ ამ საგნების შესახებ ვისმეს რამე ცნობები ექმნესთ, ვთხოვთ მათ, რომ ეს ცნობები ან ქართულს რომელსამე გაზეთში დასტამბონ და ან ზ-ს ზ. ჭიჭინაძეს გამოუგზავნონ. მასალები რამდენისამე ხნის შემდეგ პატრონებსვე დაუბრუნდებათ.

ზ. ჭიჭინაძე

## განცხადებანი

ახლად დაიბეჭდა ‹ იყიდება
ცხოვრება ქართველთა განმანათლებელის წმ. **ნინოსი**
გადმოღებული ქართულიდამვე მდაბიურად მ. შარაძის მიერ, გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან.
ფასი ერთი შაური.

Поступила въ продажу въ книжныхъ магазинахъ новая брошюра
**Д-РА И. И. ПАНТЮХОВА**
**Вліяніе маляріи на колонизацію Кавказа.** Съ картой распространенія маляріи. Т. 1899 г. цѣна 30 к.
(3—6.—3)

## ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-80 მუხლის თანახმად, ამომრჩეველ მსესხებელთა კრება მოხდება ქუთაისში, ბანკის სადგომში, შუადღის 12 საათზედ: პირველ ხარისხის მსესხებელთა 12, მეორესი—23 და მესამეს 25 თებერვლისათვის 1899 წლისა, ამასთან ამომრჩეველი კრება, იმავე წესდების მე-84 მუხლის შენიშვნის თანახმად, კანონიერად იქმნება ჩათვლილი, რამდენი კაციც უნდა დაესწროს.

ამომრჩეველთ ეუწყებათ შემდეგი:

ამომრჩეველ კრებაში ხმა ექმნებათ და მონაწილეობის ნება მიეცემათ იმათ, ვისაც სესხი მიუღია ბანკიდგან და ვისაც კანონით ნება აქვს თვისი ქონება სურვილისამებრ მოიხმაროს, თუ ამასთან მათზედ არ არის დარჩენილი ბანკის ძველი გარდასახადი, შეღავათიან გარდასახადს გარდა. მამათა სქესისათ შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ კრებაზედ მხოლოდ პირადად. ქალებს ხმის უფლება შეუძლიანთ გადასცენ მამებს, ქმრებს, შვილებს, სიძეებს და ძმებს, იმ პირობით-კი, რომ რწმუნების ქაღალდში აღნიშნული იყოს, როგორ ნათესავად მოხდება რწმუნებული მარწმუნებელს. იმათ ნაცვლად, ვინც სხვის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება, კრებებში მონაწილეობას მიიღებენ იმათი მზრუნველნი. ერთის ხმის მეტი კრებაზედ არავის მიეცემა; ქონების მონაწილეთ, აგრეთვე მეაქციეთა საზოგადოებათ და სხვა დაწესებულებათაც ეძლევათ ერთის ხმის ნება. მონაწილეს და დაწესებულებათა წარმომადგენელს მიეცემა ამისათვის განსაკუთრებული რწმუნების ქაღალდი. ბანკში დაგირავებულ ქონების პატრონთ და მონაწილეთ ეძლევათ სხვა წევრებთან ერთად ერთის ხმის უფლება. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება რწმუნებული იქმნას გამოგზავნილი, რწმუნების ქაღალდი ხმის უფლების შესახებ მიეცემათ მხოლოდ ერთის არჩევანებისათვის. (§ 81).

ამომრჩეველ კრებას ვადის გამოქვეყნებასთან ერთად გამგეობა ბანკის სადგომში სიას გამოაკრავს ამომრჩეველთა გადასათვალიერებლად; ამომრჩეველთ ნება აქვთ სიების გამოქვეყნებიდგან ორის კვირის განმავლობაში აცნობონ ზედამხედველ კომიტეტს, თუ სცნეს, რომ სიები სავსებით არ არის შედგენილი, ან რამე შეცდომაა. კომიტეტი იმათ საჩივარს ამორჩევამდე განიხილავს. ვადად, როდემდისაც მსესხებელთ ზედ დარჩენილი უშეღავათო გარდასახადი უნდა გარდაიხადონ, დანიშნულია კომიტეტის მიერ 1899 წლის 15 თებერვალი, ნაშუადღევის 3 საათამდე; ამასთან იმათ, ვინც ამ ვადის განმავლობაში არ შეიტანს გარდასახადს, აგრეთვე იმ მსესხებელთ, რომელნიც სიაში არ არიან შეტანილი, ან რომელთა საჩივარი უყურადღებოთ იქმნება დატოვებული, ამომრჩეველთა კრებაში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვთ (§ 82).

ყველა მსესხებელს, რომელიც სიებშია შეტანილი და რომელსაც ჰსურს კრებაში მონაწილეობა მიიღოს, ბანკის გამგეობაში მიეცემა განსაკუთრებული ბილეთი, შიგ აღნიშნული იქმნება იმისი წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი. იმ ბილეთზედ, რომელნიც საზოგადოებათ და დაწესებულებათ მიეცემა, აღნიშნული იქმნება იმათი სახელწოდებაც. უბილეთოდ კრების დარბაზში არავის შეუშვებენ (§ 83).

ყველა ამომრჩეველმა კრებამ უნდა აარჩიოს თითომ 35 რწმუნებული და ხუთი იმათი კანდიდატი. ამომრჩეველთ ნება ეძლევათ აარჩიონ რწმუნებული როგორც თავიანთ, აგრეთვე იმ წევრთა შორისაც, რომელნიც სხვა ხარისხის მსესხებელთა რიცხვში არიან. (§ 85). (3—6.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 16 го Января 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე